პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 116 (19558) ◆ ოთხშაბათი, 21 მაისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს გაერთიანება „საკფოლადკონსტრუქციიდან“ რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში დეპეშა შოვიდა: ჩერნობილის ატომური ელეკტროსადგურისათვის ათასი კუბური მეტრი მოცულობის ხუთი რეზერვუარი გვჭირდებაო.

რუსთაველებმა კარგად იციან დახმარების, თანადგომის ფასი, აგრეთვე ჩერნობილში შექმნილი ერთობ რთული ვითარება. ამიტომაც იყო, რომ მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ ამ პასუხსაგები დავალების შესრულებას. ეს საკითხი სპეციალურად განიხილეს კოლექტივის საერთო კრებაზე.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს დაზოგილი ლითონითა და მასალებით უსასყიდლოდ დაემზადებინათ რეზერვუარები. ეს დაუყოვნებლივ აანობეს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის კოლექტივს.

სიტყვის შესასრულებლად კოლექტივი მტკიცედ დაირაზმა. ქარხნის საამქროებში გაჩნდა ლოზუნგები: „ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის დაკვეთას — მწვანე გზა“, „ჩერნობილელთა გმირობასა და ვაჟკაცობას — ჩვენი დამკვრელური შრომა“ და ა. შ., რომლებიც თავიანთ დევიზად გაიხადეს თითოეულმა საამქრომ, უბანმა, ცვლამ, რიგითმა მუშამ და სპეციალისტმა. მუშები ცვლის დამთავრების შემდეგაც არ ტოვებენ სამუშაო ადგილებს, ვახტზე დგანან უქმე დღეებშიც, იღვწიან იმისთვის, რომ წარმატებით, ვადამდე შეასრულონ დავალება და ნახელავიც უზადო იყოს. რეზერვუარების დასამზადებლად მათ ყველაზე საუკეთესო მასალები შეარჩიეს. დაკვეთის შესრულებას სისტემატურად ამოწმებს და აკონტროლებს ოპერატიული შტაბი, რომელსაც თვით ქარხნის დირექტორი ა. დოლიძე უდგას სათავეში.

ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ზ. ნარსიძემ გვაცნობა:

— რამდენიმე დღეში უკვე დავამზადეთ ორი რეზერვუარი, დანარჩენებიც დათქმულ დროში დამზადდება, რისთვისაც შეჯიბრება მთელი ძალით არის გაშლილი. თავი ისახელეს საკონსტრუქტორო ბიუროს (უფროსი — ვ. ციციკაშვილი) სპეციალისტებმა, რომლებმაც დაუყოვნებლივ მოამზადეს და წარმოებას გადასცეს სრულიად ახალი პროექტები. მადლობა — ასევე ბიუროს და [illegible] — დამმზადებელ საამქროები (უფროსები — ა. ელიზბარაშვილი, ნ. ზურაშვილი), სადაც პრაქტიკულად იქმნება რეზერვუარები. პატრიოტული თანამონაწილეობა გამოიჩინეს კომუნისტებმა დ. გვიმრაძემ და ვ. სამხარაძემ. ისინი გასულ კვირას დილით ადრე გამოცხადდნენ სამუშაოდ და გვიან ღამამდე შრომობდნენ, შეასრულეს ორი დღიური. ნორმა, გამომუშავებული თანხა კი ჩერნობილის ფონდში ჩარიცხეს. ამ ინიციატივას მხარს უჭერენ მათი თანამოსაქმეებიც. ლითონმომზადების ბრიგადა, რომელსაც სათავეში ა. ჭიპაშვილი უდგას, ამ დღეებში დავალებას ორმაგად ასრულებს, ნახელავი კი უზადოა. ორგანიზებულად შრომობენ საამწყობო და სხვა საამქროებიც. მობილიზებული არიან ენერგო და მექანიკური სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობას. ამის მეოხებით შეფერხებები და წარმოების ციკლის შეწყვეტა არ ყოფილა.

გაივლის რამდენიმე დღე, და 25 მაისს, ვადამდე ერთი კვირით ადრე, რუსთავიდან გეზს აიღებს ეშელონი, რომელიც ჩერნობილელ მეგობრებს ჩაუტანს განკუთრებით საჭირო ნაკეთობას.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჩერნობილელთა დაკვეთა — ვადამდე

მეაბრეშუმეობის ალმავლობისათვის

24-25 მაისს გაიმართება თუთის ნარგავების მოვლა-პატრონობის, აბრეშუმის ჰიის გამოკვების მიმდინარეობის რესპუბლიკური დათვალიერება

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის გადწყვეტილებით 24-25 მაისს თუთის ნარგავებისა და სანერგეების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების, აბრეშუმის ჰიის გამოკვების მაღალ აგროტექნიკურ დონეზე მოწყობის მიზნით გაიმართება რესპუბლიკური დათვალიერება.

აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების აგრომრეწვმა, რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა, მეთაურმა პარკსაშრობებმა და საგრენაჟო ქარხნებმა უნდა განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი დათვალიერების ორგანიზებულად მოწყობისათვის. ამ მიზნით უნდა შექმნან რესპუბლიკური, რაიონული და ადგილობრივი დამთვალიერებელი კომისიები.

ჩამორჩენილი საზოგადოებრივი მეურნეობების, აგროგაერთიანებების, ბრიგადებისა და ცალკეული პირების საკითხი, რომელთა მუშაობა 2 ბალით შეფასდება, განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად უნდა შეიტანონ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში.

მოხსენებითი ბარათები და მასალები დათვალიერების საბოლოო შედეგების შესახებ უნდა წარუდგინონ მეაბრეშუმეობის სამმართველოს არაუგვიანეს 27 მაისისა. მეაბრეშუმეობის სამმართველომ დათვალიერების შედეგები უნდა შეაჯამოს და განსახილველად წარუდგინოს რესპუბლიკის საბაგრომრეწვს.

გვახსოვდეს, დათვალიერების მაღალ დონეზე მოწყობა მტკიცე საფუძველს ჩაუყრის მეაბრეშუმეობის შემდგომ განვითარებას, მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის შესრულებას. ამიტომ კომისიის ყველა წევრი პირუთვნელი უნდა იყოს შექმნილი მდგომარეობის სრულყოფილად შეფასების საქმეში.

დაჩქარება ხუთწლედის დევიზია

ოთხ დღეს უსასყიდლოდ

როლანდ გოგიაშვილი, რომელიც „ელმავალმშენებელის“ საწარმოო გაერთიანების კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას ხელმძღვანელობს, ამხანაგებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მისმა ბრიგადამ ვადამდე შეასრულა მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმა და ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი ვოლგელ ავტომშენებელთა ინიციატივას კულტ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობებზე ოთხი დღე უსასყიდლოდ მუშაობის თაობაზე. ბრიგადა მონაწილეობას მიიღებს გაერთიანების საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის მშენებლობის სამუშაოებზე.

სურათზე: ახალგაზრდა კომუნისტი, გაერთიანების პარტიული კომიტეტის წევრი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი როლანდ გოგიაშვილი.

ა. საბაკოვის ფოტო.

შენი ვალია, სახალხო კონტროლიორო

ყაზახეთის სსრ ესილის სამკერვალო გაერთიანების სახალხო კონტროლის აქტივისტებმა უურადღება მიაქციეს ქსოვილების დიდ ნარჩენებს და წინადადება წამოაყენეს მათგან საქონელი გამოეშვათ. წლის მანძილზე დამატებით დამზადებულია 222 ათასი მანეთის პროდუქცია. ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სალოკომოტივო დეპოს სახალხო კონტროლიორებმა, რომლებმაც აღმოაჩინეს უწესივრობანი ელმავლების გამოყენებაში, აღმოფხვრეს ისინი და ამით ხელი შეუწყვეს დიდძალი ელექტროენერგიის დაზოგვას. მინსკის საწარმოო გაერთიანება „ინტეგრალის“ მიერ გამოშვებული ელექტრონული საათების გამო რეკლამაციები ჰოდიოდა. ამას არ შეიძლებოდა შეშფოთება არ გამოეწვია მაკომპლექტებელი დეტალების საამქროს კოლექტივში. სახალხო კონტროლის ჯგუფის რეკომენდაციით, რომელსაც რაციონალიზატორი ვ. მალინოვსკი მეთაურობს, აღმოფხვრეს წუნის მიზეზები, რამაც ხელი შეუწყო საყვედურების რიცხვის შემცირებას, სახალხო კონტროლიორების მიზანდასახული მეცადინეობის მეოხებით საამქროს კოლექტივი ერთ-ერთი საუკეთესო გახდა საწარმოში, ვადამდე შეასრულა ხუთწლედი, პრაქტიკულად აღმოფხვრა წუნი მუშაობაში.

ეს და ბევრი სხვა მაგალითი მოიყვანეს ქვეყანაში მიმდინარე შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა კრებებსა და კონფერენციებზე, სახალხო კონტროლის, საწარმოო კომიტეტების ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშგება-არჩევნებს რომ ეძღვნება. მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კამპანია ჩაღდება პირობებში, როცა საბჭოთა ადამიანები, ახორციელებენ რა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, იბრძვიან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მომჯირნეობის რეჟიმის გაძლიერების, ორგანიზებულობის შემდგომი გადიდებისათვის. ანგარიშგება-არჩევნები სახალხო კონტროლში ერთ-ერთი უდიდესი პრაქტიკული აქციაა პარტიის საპროგრამო დებულების რეალიზაციისათვის, რომელსაც სახალხო კონტროლის ორგანოებში მშრომელთა მუშაობა მიანჩია მათი პოლიტიკური სიმწიფისა და ხალხის ინტერესების დაცვაში აქტიურობის განვითარების, საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის გრძნობის ჩანერგვის დიდმნიშვნელოვან ფორმად.

კრებების, კონფერენციების წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული თვით მუშებზე, კოლმეურნეებზე, მოსამსახურეებზე, სახალხო კონტროლის ძირეული რგოლების საქმეებისადმი მათს დაინტერესებულ დამოკიდებულებაზე. ამისათვის კი ადამიანებს დროზე უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ანგარიშგება-არჩევნების შესახებ, მივცეთ შესაძლებლობა წინასწარ მოიფიქრონ წინადადებები და შენიშვნები, რომელთა მიზანია სახალხო კონტროლის მუშაობის სრულყოფა, მისი ქმედითობის გაძლიერება. პარტიული ორგანიზაციები, სახალხო კონტროლის კომიტეტები უნდა ზრუნავდნენ ისეთი ვითარების შექმნისათვის, რომ კრებების მონაწილეებს შეეძლოთ თავისუფლად, გულახდილად გამოთქვან თავიანთი აზრი სახალხო კონტროლიორთა მუშაობის შესახებ, შეიტყონ, თუ როგორ შეასრულეს მათ წინა არჩევნებზე მიცემული განაწესები.

სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების ახალ შემადგენლობაში უნდა შევიდნენ ავტორიტეტიანი, ინიციატივიანი ადამიანები. ამაზე იყო, მაგალითად, სჯა-ბაასი კამჩატკის პეტროპავლოვსკის „შავზღვრულლითონის“ საოლქო სამმართველოს მუშაკთა კრებაზე. სამმართველოს ადმინისტრაციას მეტად უხეში შეცდომები მოსდიოდა ჯართის დაგეგმვაში, გადამუშავებასა და გაგზავნაში. სახალხო კონტროლის ჯგუფი კი პრაქტიკულად განზე ედგა ამ უმწვავესი პრობლემების გადაჭრას, შემოხვევიდან შემოხვევამდე წყვეტდა წერილმან საკითხებს. კონტროლიორთა ნაწილი გამოუცდელობის, ზოგჯერ კი იმის გამოც, რომ არ ხურდა გაეშენებინა ურთიერთობა უფროსობასთან, საერთოდ არ მონაწილეობდა შემოწმებებში. კოლექტივმა ნდობა ალარ გამოუცხადა სახალხო კონტროლის ჯგუფის უოფილ თავმჯდომარეს, განაახლა მისი შემადგენლობის ნახევარი. მეორე მაგალითი. კრასნოიარსკში მაისის პირველი ნახევრისათვის დანიშნული შრომითი კოლექტივების ყოველი მეათე კრება გადაიტანეს გვიან ვადებისათვის იმის გამო, რომ ისინი ჯეროვნად არ იყო მომზადებული. ხოლო სკკპ ირბეისა და ტიუხტეტის რაიკომებს არც კი განუსაზღვრავთ ამოცანები, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგას საანგარიშო-საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი აღმზრდელობითი ფაქტორია პირადი მაგალითი კომუნისტი ხელმძღვანელისა, რომლებიც პატიოსნების, პრინციპულობის ნიმუშს გვიჩვენებენ. ხომ ხაკმარისია რომელიმე მუშაკმა გამოიჩინოს მერყეობა, სინდისის წინააღმდეგ წავიდეს, რომ მაშინვე წარმოიშვას შეფერხებები სახალხო კონტროლის ორგანოთა საქმიანობაშიც. ჩნდება „აკრძალული ზონები“, სადაც სახალხო კონტროლიორებს „არ ურჩევენ“ ჩარევას, რადგან იქ შეიძლება გამოვლინდეს ზოგიერთი ხელმძღვანელის ხარჯის საქმეთა საწყისები. პარტიულმა ორგანიზაციებმა, სახალხო კონტროლის კომიტეტებმა უნდა გამოიტანონ დასკვნები შეცდომებიდან, არ გაიმეორონ ისინი.

არ შეიძლება, რომ კრებები, კონფერენციები ეწყობოდეს ნაჩქარევად, მოუმზადებლად, მოხსენებები კი იყოს ზერელე, ალმაზებდნენ სინამდვილეს. სწორად იქცევიან იქ, სადაც ანგარიშებს იხილავენ წარმოებაში, მართვასა და მომსახურებაში შექმნილ ვითარებასთან მჭიდრო კავშირით, სადაც კრიტიკულად აანალიზებენ სახალხო კონტროლიორთა და სამეურნეო მუშაკთა მუშაობას, ახალხელენენ ამათ, ვისაც ბრალი მიუძღვის ნაკლოვანებებში. მხოლოდ საქმიან, პრინციპულ ვითარებაში შეიძლება შემუშავდეს კონკრეტული გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია სახალხო კონტროლის ეფექტიანობის გადიდება.

იმით, რომ სახალხო კონტროლიორები გახდნენ ყველაზე აქტიური, უუანრაობისა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელნი, უწინარეს ყოვლისა, დაინტერესებული უნდა იყვნენ თვით კრებებისა და კონფერენციების მონაწილენი, შრომითი კოლექტივები. საბოლოო ანგარიშით ხომ სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები მათი საკონტროლო ორგანოები არიან, რომლებმაც ხორცი უნდა შეასხან მშრომელთა ნებასა და განაწესებს. გამოცდილება მოწმობს, რომ სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების თავმჯდომარეები მიზანშეწონილია აირჩიონ პარტკომების, პარტიიურების წევრთაგან, პარტორგანიზაციათა მდივნების მოადგილეთაგან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული ახეთი პრაქტიკა აახლოებს სახალხო კონტროლის ორგანოებს პარტიულ ორგანიზაციებთან, ზრდის სახალხო კონტროლიორთა როლსა და ავტორიტეტს.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის წარმატებას ბევრად განაზღვრავს უნარიანი ორგანიზაცია და მასში პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნების, ბიუროების წევრების, აგრეთვე საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების წარმომადგენელთა, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა მონაწილეობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი სახალხო კონტროლის ორგანოების წინაშე სახავს ამოცანას — მტკიცედ მიაღწიონ კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებას, დღეიადაგ სრულყონ კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები, გააძლიერონ მათი მუშაობის პროფილაქტიკური ხასიათი და საჯაროობა. სახალხო კონტროლის სოციალისტური სისტემა უნდა მოქმედებდეს უფრო ენერგიულად, წყვეტდეს დიდ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. ამოცანების სიახლე და მასშტაბურობა ავალებს სახალხო კონტროლის ყველა რგოლს აქტიური დახმარება გაუწიონ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს სკკპ XXVII ყრილობის მიერ მიღებული გეგმების რეალიზაციაში.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ა. კუნიალს

19 მაისს მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა პორტუგალიის კომპარტიის გენერალურ მდივანს ა. კუნიალს, რომელიც დასასვენებლად არის ჩამოსული საბჭოთა კავშირში.

სრული ურთიერთგაგების, გულთბილ მეგობრულ ვითარებაში მ. ს. გორბაჩოვმა და ა. კუნიალმა ერთმანეთს გააცნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური და თეორიული საქმიანობა ორი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

გაიმართა გაღრმავებული აზრთა გაზიარება დიდი საერთაშორისო პრობლემების გამო, ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის ბრძოლის სიძნელეებისა და პერსპექტივების შესახებ. განიხილეს მუშათა და კომუნისტური მოძრაობის აქტუალური საკითხები.

საუბარმა დაადასტურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომპარტიის შეხედულებათა პრინციპული ერთიანობა მშვიდობის, სოციალიზმის, კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლაში. გამოითქვა ორმხრივი მისწრაფება ყოველნაირად შეუწყონ ხელი საბჭოთა კავშირისა და პორტუგალიის თანასწორუფლებიანი, ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის, საბჭოთა და პორტუგალიელი ხალხების მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

(საკდესი).

მ. ს. გორბაჩოვისა და ა. კუნიალის შეხვედრა.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ფ. გონსალესის ვიზიტი

19 მაისს დაიწყო ნ. ი. რიჟკოვისა და ფ. გონსალესის მოლაპარაკება. მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ურთიერთობის კონსტრუქციული ხასიათი შეესაბამება არა მარტო ორი ქვეყნის ხალხთა ძირეულ ინტერესებს, არამედ საერთაშორისო მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმესაც.

• • •

იმავე დღეს კრემლში სსრ კავშირის მთავრობის სახელით სადილი გაუმართეს ფ. გონსალესსა და მის მეუღლეს.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ნ. ი. რიჟკოვი მეუღლითურთ, ჰ. ა. ალიევი, ე. ა. შევარდნაძე, პ. ნ. დემიჩევი, ნ. ვ. ტალიზინი, ა. ნ. იაკოვლევი და სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ნ. ი. რიჟკოვმა და ფ. გონსალესმა სიტყვები წარმოთქვეს. სიტყვები დამსწრეთ უურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

(საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

დიდი პარტიული და სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კადრების შერჩევა-განაწილების და აღზრდის დარგში ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. განხორციელებული ღონისძიებანი არცთუ იშვიათად ზერელე ხასიათისაა. კადრებთან მუშაობის სტილი და მეთოდები არ შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნებს. შეშფოთებას იწვევს ხელმძღვანელ მუშაკთა ხშირი და უმიზნო შეცვლა. არის მრავალი ფაქტი იმისა, რომ თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ კვლავ ნიშნავენ პასუხსაგებ პოსტებზე იმ პირთ, რომლებიც წინათაც ყოფილან მოხსნილი თანამდებობიდან მუშაობის ჩაშლისათვის. ამას შედეგად მოჰყვა დისციპლინის ნკვეთრი შესუსტება, სეროზული შეცდომები მგზავრთა მომსახურების ორგანიზაციის, გადასაზიდი ტვირთის დაცვის, მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში და ა. შ.

აღინიშნა აგრეთვე, რომ რკინიგზის სამმართველოში წესად არ იყო შემოღებული ნომენკლატურულ მუშაკთა დანიშვნა ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოების სხდომებზე, ფართო საჯაროობის ვითარებაში, კადრების საკითხებს, როგორც წესი, ერთპიროვნულად წყვეტდა რკინიგზის უფროსი ლ. გ. ვარდოსანიძე. ადამიანთა შერჩევისა და განაწილების ასეთ მანკიერ პრაქტიკას, რომელმაც განსაკუთრებით იჩინა თავი უკანასკნელ წლებში, შედეგად მოჰყვა კადრების უთავბოლო გადაადგილება. მაგალითად, მარტო რკინიგზის სამმართველოში, თბილისისა და სამტრედიის განყოფილებებში 1979-1985 წლებში 850 ნომენკლატურულ ხელმძღვანელ მუშაკთაგან გამოიცვალა 650. ამავე პერიოდში ხუთჯერ შეცვალეს თბილისის სატვირთო სადგურის უფროსი, შვიდჯერ — სამტრედიის სადგურისა, ექვსჯერ — თბილისის სავაგონო უბნისა.

ადამიანებთან აღმზრდელობითი მუშაობის ნაცვლად ფეხი მოიკიდა ადმინისტრირებამ, და სასჯელის ღონისძიებებმა, რომლებსაც ხშირად ფორმალური ხასიათი ჰქონდა, არსებითად დაკარგა ზემოქმედების ძალა.

მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზა კარგად არის უზრუნველყოფილი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებით, აქ შეიმჩნევა დასაწინაურებელი კადრების რეზერვის მწვავე დეფიციტი. 309 ინჟინერი ტექნიკოსად მუშაობს, ხოლო თანამდებობებზე, რომლებსაც არ სჭირდება სპეციალური განათლება, ჰყავთ 1130 ტექნიკოსი. არ სრულდება წამყვან პროფესიათა (თბომავლის მემანქანის თანაშემწეთა, ვაგონების შეკეთებელ ზეინკალთა, მატარებლების შემდგენელთა, ბილეთის მოლარეთა და სხვ.) კადრების მომზადების საგეგმო დავალებანი.

ამ და სხვა ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს კადრებთან მუშაობაში შედეგად ნოჰყვა სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუარესება; მატარებლების უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის მხრივ ამიერკავკასიის მაგისტრალი ყველაზე უარესად არის მიჩნეული ქვეყნის ყველა რკინიგზას შორის.

ამიერკავკასიის მაგისტრალზე პრაქტიკულად არ დანერგილა სვერდლოვსკის გამყოლთა რეზერვის მოწინავე გამოცდილება, რომელსაც გაერცელების რეკომენდაცია მიეცა, არ გამოიყენება ვაგზლებში, მგზავრთა მომსახურების ბრიგადული მეთოდი, ყველა არადამაკმაყოფილებელია შრომის დაცვის მდგომარეობა.

აღინიშნა, რომ კადრებთან ნუშაობაში დაშვებული სერიოზული ხარვეზები მნიშვნელოვანწილად შედეგად მოჰყვა ლ. გ. ვარდოსანიძის მხრივ მუშაობის მცდარ სტილსა და ხელმძღვანელობის მეთოდებს, რომელსაც „ადმინისტრირება მიაჩნდა საკითხთა გადაწყვეტის ერთადერთ სწორ საშუალებად, კოლექტიურ აზრზე უფრო მაღლა აყენებდა საკუთარ შეუმოწმებელ მოსაზრებებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არადამაკმაყოფილებლად ცნო ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობას დაავალა მიიღოს ქმედითი ზომები, რათა ძირფესვიანად გარდაქმნას ადამიანებთან მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები, განუხრელად დაიცვას კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპები; ამ მიზნით მიაღწიოს პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებას რკინიგზის სამმართველოს აპარატში, სამტრედიისა და თბილისის განყოფილებებში, მათს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აოკეთოს ხელმძღვანელი კადრების დაუსაბუთებელი განთავისუფლების, გადაადგილებისა და დაწინაურების მანკიერი პრაქტიკა, შექმნას კოლექტივებში ჯანსაღი ნორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი; მკაცრად დაიცვას რკინიგზის ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოს სხდომებზე ნომენკლატურულ მუშაკთა დამტკიცების წესი, უზრუნველყოს კოლეგიური და თავისუფალი აზრთა გაზიარების პირობები, პარტიული ორგანოებისა და შრომითი კოლექტივების მოსაზრებათა სავალდებულო გათვალისწინება. ნუშაკის პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების ყოველმხრივი შესწავლის, პრაქტიკულ საქმიანობაში მისი შემოწმების საფუძველზე მიაღწიოს იმას, რომ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის სათავეში ედგნენ კომპეტენტური, პოლიტიკურად მოწიფული ხელმძღვანელები.

პროფკავშირის საგზაო კომიტეტს, რკინიგზელთა პროფკავშირის რაიონულ კომიტეტებსა და რკინიგზის პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაევალათ ნიადაგ იზრუნონ იმისათვის, რომ გაუჯობესდეს მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, დინერგოს მორალური და მატერიალური სტიმულირების ქმედითი ფორმები, დამრიგებლობა, განსაკუთრებული კონტროლი დაუწესონ კადრების დამკვიდრების, მათთვის შრომისა და დასვენების, საჭირო პირობების შექმნის საკითხებს.

ამიერკავკასიის რკინიგზას სამმართველოს პარტკომს, რკინიგზის კვანძების პარტიულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ გააძლიერონ სამმართველოს, განყოფილებების, საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ კომუნისტთა პასუხისმგებლობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის პარტიული პრინციპების მტკიცედ დაც-

(დასასრული მე-2 გვ.)

ამომრჩევლები შეხვდნენ ო. ე. ჩერქეზიას

ხალხმრავლობა იყო 20 მაისს საქართველოს პროფკავშირთა სასახლეში, სადაც თბილისის №660 ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ოთარ ევტიხის ძე ჩერქეზიას. აქ შეეკრიბნენ ამ საარჩევნო ოლქში შემავალი შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ო. გ. ვარძელაშვილი, ნ. რ. საჯაია, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, საარჩევნო ოლქის მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები.

კრება გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. დ. ბოჯგუამ.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღმურვილმა პირმა — თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სსრ კავშირის ისტორიის კათედრის გამგემ შ. ნ. ლომაშვილმა ილაპარაკა ო. ე. ჩერქეზიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ამომრჩევლებს მოუწოდა ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეულ წარმომადგენელს.

კრებაზე გამოვიდნენ თბილისის № 10 ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ლ. ი. გუჯაბიძე, თბილისის საშენ მასალათა კომბინატის მეინსტრუმენტე ზეინკალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. ა. გოდუნოვი, ყაზბეგის რაიონის გორისციხის 8-წლიანი სკოლის დირექტორი ი. კ. ჩქარეული, თეთრი წყაროს მეფრინველეობის ფაბრიკის სელექციონერი თ. შ. ბექაური, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემათა ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. ე. სალუქვაძე, გორდაბნის ბიოკომბინატის მუშა მ. ს. წიკლაური, დუშეთის რაიონის № 2 საშუალო სკოლის დირექტორი გ. ი. თეთრუაშვილი, თიანეთის რაიონის ახალსოფლის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. ი. გოდერძიშვილი, წალკის რაიონის ავრანლოს საბჭოთა მეურნეობის მემინდვრე თ. ფ. პოლიქრონოვა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი რ. ხ. ყალიჩავა, რომლებმაც ილაპარაკეს თავიანთი შრომითი კოლექტივების მტკიცე გადაწყვეტილებაზე შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი პარტიის გეგმების რეალიზაციაში, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ო. ე. ჩერქეზიამ. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩეველთ ნდობისათვის, აღუთქვა, რომ ყველაფერს იღონებს, რათა მათი ღირსეული წარმომადგენელი იყოს ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

(საქინფორმი).

დიდი პარტიული და სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე

(დასასრული)

ვისათვის, მთელი ყურადღება მიეაყრონ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაწინაურებელ მუშაკთა პოლიტიკური, ზნეობრივი და საქმიანი თვისებების ღრმა შესწავლას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა სისტემატურად გააანალიზონ და განზოგადონ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, გააძლიერონ ინდივიდუალური მუშაობა კადრებთან. აამაღლონ მათი კომპეტენტურობის დონე და დაკისრებული საქმისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა.

სკკპ წევრი, ამერიკავკასიის რკინიგზის უფროსი ლ. ზ. ვარდოსანიძე, ნაოქმამია დადგენილებაში, მკაცრი პარტიული სასჯელისა და სამუშაოდან მოხსნის ღირსია იმის გამო, რომ შეურიგდა უხეშ დარღვევებს კადრების შერჩევა-განაწილებაში, არაკოლეგიურად და უტაქტოდ ეპყრობოდა აქხანაგებს, შექმნა არაჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი კოლექტივში, გაიფარეს ძგზავრთა გადაყვანისა და მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების მდგომარეობა, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ მან აღიარა დაშვებული ნაკლოვანებანი, მრავალ წელიწადს მუშაობდა რკინიგზის ტრანსპორტზე, ამასთან მხედველობაში ქიიღო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიმდინარე წლის მარტის დადგენილებით იგი განთავისუფლებულია თანამდებობიდან პენსიაში გასვლის გამო, და აკმარა საკითხის განხილვა.

იმისათვის, რომ ჯეროვან პრინციპულობასა და მომთხოვნელობას არ იჩენდა, როცა რკინიგზის უფროსი ერთპიროვნულად წყვეტდა ხელმძღვანელი კადრების დანიშვნისა და გადაადგილების საკითხებს, სკკპ წევრს, რკინიგზის უფროსის მოადგილეს კადრებისა და სოციალური საკითხების დარგში რ. ლ. ბუგიანიშვილს საყვედური გამოეცხადა.

რკინიგზის ხელმძღვანელობის მიერ შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, ამერკავკასიის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო საკითხის გადაწყვეტაში არასაკმარისი მომთხოვნელობისა და პრინციპულობისათვის ამერკავკასიის რკინიგზის რკინიგზელთა საგზაო პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს ა. გ. გოზიანიძეს ასევე საყვედური გამოეცხადა.

დანარჩენ მუშაკთა პარტიული ბასუხისმგებლობისა და დაკავებულ თანამდებობებზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი განსახილველად გადაეცათ შესაბამის პარტიულ ორგანიზაციებს.

ცნობად არის მიღებული, რომ ამერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილეს — მგზავრთა გადაყვანისა და მოძსახურების ორგანიზაციის საგზაო გაერთიანების უფროსს ვ. ს. ჯაფარაშვილს სსრ კავშირის გზათა სამინისტროს კოლეგიამ სასტიკი საყვედური გამოუცხადა გაზეთ „პრავდის“ 1985 წლის 1 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული ფელეტონის „ოქით და აქეთ“ საკითხის განხილვისას.

აგრეთვე მიღებულია ცნობად, რომ რკინიგზის უფროსის მოადგილეს — მატარებლების უსაფრთხო მოძრაობის საგზაო რევიზორს გ. ფ. მაისურაძეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1985 წლის იანვრის დადგენილებით „უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად ამერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“ საკითხის განხილვისას გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო ამერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პარტკომის ნდობა ვ. დ. გონგაძე გადარჩეულია.

დადგენილებით დასახულია აგრეთვე კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების სხვა კონკრეტული ღონისძიებანი სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

(საქინფორმი).

ოსკარ ლაფონტენი: „მესარეგს ყოველი ახალი შეხვედრა თბილისელებთან“

დასავლეთ გერმანიის საარის მხარის პრემიერ-მინისტრი ოსკარ ლაფონტენი და მისი თანმხლები პირნი, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან, განაგრძობენ რესპუბლიკის გაცნობას.

სტუმრები მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა.

საუბრის დროს დიდი შეფასება მიეცა საბჭოთა საქართველოს და დასავლეთ გერმანიის საარის მხარის მეგობრულ პარტნიორობას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს პარტნიორობა უკვე ათ წელიწადზე მეტია წარმატებით ვითარდება და ხელს უწყობს ორი ქვეყნის ხალხების ურთიერთგაგების გაუმჯობესებას.

გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ო. ე. ჩერქეზიას შეხვედრა საარის მხარის პრემიერ-მინისტრთან ოსკარ ლაფონტენთან.

თბილისისა და საარბრიუკენის პარტნიორობის წლებში, ითქვა საუბრის დროს, საბჭოთა საქართველოს და დასავლეთ გერმანიის საარის მხარეს შორის სტანდარტული ურთიერთობა დამყარდა კულტურის, ტურიზმის, ახალგაზრდობის გაცვლის სფეროებში. ახლა ეს ურთიერთობა შეიძლება გაფართოვდეს სხვა სფეროებშიც, კერძოდ, ეკონომიკის დარგში. მიღწეულია მორიგება ისეთი საინფორმაციო მასალების გაცვლის შესახებ, რომელთა მეშვეობითაც მოიძებნება მხარეთა ეკონომიკური ინტერესების ურთიერთშეხების წერტილები.

20 მაისს დასავლეთ გერმანიის საარის მხარის პრემიერ-მინისტრი და მისი თანმხლები პირნი თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრნენ.

გამგზავრების წინ ოსკარ ლაფონტენმა ინტერვიუ მისცა საქინფორმის კორესპონდენტს მ. ხანანაშვილს.

— ამჯერად თბილისში კონკრეტული წინადადებით ჩამოვედით,— თქვა ო. ლაფონტენმა. — ჩვენი დედაქალაქების პარტნიორობა იმდენად წარმატებით ვითარდება, რომ, მე მგონი, დადგა დრო ეიფიქროთ საბჭოთა საქართველოს და დასავლეთ გერმანიის საარის მხარეს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებაზე. მჯერა, რომ ამ ურთიერთობასაც შეუძლია მიაღწიოს დედაქალაქების დამოკიდებულების ინტენსიურობისა და გულთბადობის ფენომენს. ორ დღეს თბილისისა და საარბრიუკენის პარტნიორული კონტაქტები სამაგალითოა მსოფლიოს სხვა ქალაქებისათვის, დარწმუნებული ვარ, ასეთივე შეიძლება გახდეს საქართველოს და საარლანდის პარტნიორობაც. ქმაყოფილი ვართ, რომ საქართველოში ჩვენს წინადადებას გაგებით მოეკიდნენ და მხარი დაუჭირეს.

მახარებს ყოველი ახალი შეხვედრა თბილისთან და თბილისელებთან. ყოველთვის, როცა აქ ჩამოვდიავარ, სიამოვნებით დავსეირნობ ზე) ჰაერის თერმულ მაჩვენებლებს დავაკვირდით დღეღამურ მაქსიმუმს და მინიმუმ ტემპერატურებზე რა ცვლილებები მოხდებოდა. ანათვლებმა გვიჩვენა, რომ მეორიორანტშეტანილ და ორდინარულ საღვინე ვენახის ნაკვეთებზე „ქინძმარაულის“ მაქსიმალური ტემპერატურები ერთი მეორეს უახლოვდება. მინიმუმ ტემპერატურის შესამჩნევი განსხვავებაა. ის 4-5 გრადუსით მაღალი აღმოჩნდა „ორდინარულ საღვინე“ ვენახის ნაკვეთზე. „ქინძმარაულის“ და „მელიორანტშეტანილი“ ნაკვეთების ეს თერმული მახასიათებელი ერთმეორეს უახლოვდება აგვისტო-სექტემბრის ბოლო პერიოდამდე.

გამოკვლევების მონაცემები იძლევა საფუძველს ვთქვათ, რომ „ქინძმარაულის“ საფერავის ვენახში ექსტრა-კლასის პროდუქციის ხარისხის მსაზღვრელს ნიადაგური პირობები, კერძოდ, მდინარე დურუჯის გამონატანი წარმოადგენს, რომელიც აწესრიგებს მიწისპირა ჰაერის სითბურ თვისებებს და ამით ყურძენში შაქრის უტილიზაციის ხელშემწყობ პირობას ქმნის.

ზემოთქმულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ექსპერიმენტით მოპოვებული მონაგები იძლევა ცდის შედეგების ინტერპოლაციის შესაძლებლობას — „ქინძმარაულის“ უნიკალური საფერავის ვენახის ფართობის გადიდებისას, ორდინარულ საფერავის საღვინე ვენახში მელიორანტად — მდინარე დურუჯის გამონატანის არაპირდაპირი მოქმედების „სასუქად“ გამოყენების საშუალებით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სხვა მიკროუბნების ექსტრა-კლასის ღვინომასალის მსაზღვრელი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ერთი და იგივე ფაქტორი (მიზეზი) წარმოადგენდეს. თითოეული ასეთი მიკროუბნის პროდუქციის ხარისხიანობას თავისი ეკოლოგიური კომპლექსი საზღვრავს (ნიადაგების ჩათვლით), რომელიც საკითხის გადასაწყვეტად ღრმა მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს. ამიტომ ჩვენ ბართებულად და დროულად მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღოს, როგორც შესაფერისი პროფილის სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტებმა, აგრეთვე ფუნდამენტური მეცნიერებ ი ს (ბიოფიზიკის, ქიმიის, მინერალოგიის და სხვა) ინსტიტუტებმა და უმაღლესი სასწავლებლების შესაფერისი პროფილის კათედრებმა.

გ. ტალახაძე,
პროფესორი;
ი. ანჯაფარიძე,
პროფესორი.

მთელი ყურადღება — ხარისხს! ეს პრინციპი უდევს საფუძვლად ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობის მეჩაიეთა დამკვრელურ შრომას, რომლებმაც დაიწყეს ახალი ხუთწლედის პირველი წელი, გადაწყვეტეს არა მარტო გადაჭარბებით შეასრულონ დავალება, არამედ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ ნედლეულის ხარისხი. ყველა უბანზე შემოღებულია ხარისხის საგუშაგოები, აგრონომები და სპეციალისტები ეხმარებიან მეჩაიეებს მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში.

სურათზე: სოფელ დაგვის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ტარიელ რომანაძე ამოწმებს მეჩაიეების ნინო გათენაძისა და მერი ათაბაძის მიერ მოკრეფილი ნედლეულის ხარისხს.

ზ. სამსონიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ კომუნისტი“ მეძიებს რეზერვებს

კიდევ რა განსაზღვრავს ხარისხს?

სასკოლო რეფორმა მოქმედებს

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციაა გვთავაზობს

აინთო დისპლეების ეკრანები და დაიწყო... თამაში. რთული მათემატიკური ამოცანები გასართობ თავსატეხებად გადაიქცა, ფიზიკის ცდები — მოძრავ სურათად. ასე დაიწყო მორიგი გაკვეთილი საქართველოს განათლების სამინისტროს ცენტრალურ დისპლეის კლასში.

ეს თამაში გამოიგონეს მოზრდილებმა, რათა ბავშვები აზიარონ ინფორმატიკის იდუმალ სამყაროს. დღეს ხომ „გონიერი“ მანქანა იპყრობს სახლობო მეურნეობის ყველა სფეროს და საყოველთაო კომპიუტერულ წიგნიერებას მოითხოვს. ეს კი იწყება სკოლის მერხიდან, სადაც ბავშვები მის პირველ ჩვეულებს იძენენ.

როგორ გავხადოთ ეს პროცესი უფრო ეფექტიანი? ამ კითხვას უპასუხეს გამოთვლითი ცენტრის თანამშრომლებმა, როცა თანამედროვე კომპიუტერული კლასი შექმნეს. აქ არის ოცი მოსწავლის ერთდროულად მეცადინეობისათვის გათვალისწინებული უახლესი ტექნიკა. და თუმცა თითოეული პერსონალური კომპიუტერი დაკავშირებულია პედაგოგის მართვის პულტთან, სწავლება ინდივიდუალურია. პროგრამა გათვალისწინებულია საშუალო მოსწავლისათვის, მაგრამ თითოეულის მომზადების დონის მიხედვით წყობას იცვლის და თანამოსაუბრესთან რამდენიმე ტიპის დიალოგიდან ერთს ირჩევს. თუ მანქანა „გრძნობს“, რომ მოსწავლეს უჭირს პასუხის გაცემა, განვლილ მასალას იმეორებს და მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდება, რომ იგი ათვისებულია, უფრო რთულ მაგალითებზე გადადის.

ასეთი კლასები ზოგიერთ სკოლაშიც არის, მაგრამ ძალზე ცოტა. დრო არ ითმენს, ველოდოთ როდის აღიჭურვება ყველა სკოლა კომპიუტერული ტექნიკით. ამიტომ სასწავლო კლასებად გადაიქცნენ მეტი წილი სამინისტროებისა და უწყებების გამოთვლითი ცენტრები. აქ უფროსკლასელები ეუფლებიან გამოთვლით ტექნიკასა და დაპროგრამების საფუძვლებს. მეთოდიკური და პროგრამული უზრუნველყოფა ეკისრება განათლების სამინისტროს მთავარ გამოთვლით ცენტრს. ნის ბაზაზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეიქმნა სასკოლო დისციპლინების კომპიუტერული შესწავლის პროგრამები. ამავე გამოთვლითი ცენტრის ძალებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიოსის ი. ფრანგიშვილის რედაქციით შეიქნა გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმძღვანელო. საბაზო გამოთვლით ცენტრებს გადაეცათ მათემატიკის, ფიზიკის, უცხო ენის შესაბამისი მანქანური პროგრამები სასწავლო პროცესში დასანერგავად.

— და თუმცა დაპროგრამებისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების სისტემა როგორც სასწრაფო ღონისძიება უთუოდ ყველაზე მისაღებია ჯერჯერობით, ზოგიერთი გამოთვლითი ცენტრის ხელმძღვანელობა გაუგებარ ინერტულობას იჩენს, — თქვა რესპუბლიკის განათლების სამინისტროს საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს უფროსმა თ. ტატიშვილმა.—ისინი მოვალენიც არიან დანერგონ ეს სისტემა, და დაინტერესებულნიც უნდა იყვნენ ამით: კადრები ხომ. საბოლოო ანგარიშით, მათთვისაც მზადდება. პარადოქსული სიტუაცია იქმნება — აზრის გაზიარებას გვთხოვენ მოსკოვის, კიევის, ულიანოვსკის, ტომსკის სპეციალისტები, ბრატისლავიდან და ბუდაპეშტიდანაც კი მოგვმართავენ, რესპუბლიკის მეტი წილი გამოთვლითი ცენტრი კი არ იყენებს გამოცდილებას, რომელიც ასე ხელჩასაწვდომია მათთვის. ჯერ კიდევ საკმაო დრო სჭირდება იმას, რომ ყველა სკოლა აღიჭურვოს კომპიუტერული კლასებით. ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ერთიანი სასკოლო კომპიუტერი — არ არის განსაზღვრული ერთიანი მანქანური ენა. და კიდევ: აშკარად არ არის საკმარისი ის 72 საათი, რომელიც გამოყოფილია ნასწავლებელთა გადამზადებისათვ ი ს.

— უმნიშვნელოვანესი პრობლემა ის არის, რომ მოსწავლეები ფართოდ ვაზიაროთ ინფორმატიკის სამყაროს, — ჩაება საუბარში განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრის დირექტორი გ. გვარამია. — სოფლებში, მაგალითად, უფროსკლასელ ბ ი სწავლობენ ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლებს, ისე, რომ თვალით არ უნახავთ კომპიუტერი. გამოსავალია მოძრავი დისპლეის კლასი. ჩვენ გვყავს სპეციალისტები და გვაქვს მოწყობილობა. მაგრამ საქმეს ის აჭიანურებს, რომ მთელი წლის მანძილზე სამინისტროს ვერ გამოუყვეს სპეციალური ავტობუსი მოძრავი კლასისათვის. ჯარიანი, საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს სამეფოო გამოთვლითი ტექნიკის მომსახურების ხარისხი. ხშირად კომპიუტერები დიდი ხნით ცდებიან — ხან არ არის სათადარიგო დეტალები, ხან არ გვყოფნის ექსპლოატაციის სპეციალისტები. ყოველივე ეს აფერხებს საქმეს.

უკვე მომდინარე ხუთწლედში უნდა მოხდეს თვისებრივი ძვრები სოციალურ სფეროში, ეს კი შეუძლებელია, თუ არ გარდაიქმნა შრომის შინაარსი. მთავარი როლი აქ უნდა შეასრულოს სახალხო მეურნეობის ტექნიკურმა რეკონსტრუქციამ, — მექანიზაციამ, ავტომატიზაციამ, კომპიუტერიზაციამ და რობოტიზაციამ, რასაც ნკაფიო სოციალური მიმართულება უნდა ჰქონდეს. დღის წესრიგშია უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემის შექმნის ამოცანა.

ი. ჯორბენაძე.

საქართველოს ბუნება მეტად მრავალფეროვანი რომ არის, ყველამ იცის. ამას განსაზღვრავს კლიმატი, ბიოსფერო, ქანები, რელიეფი და ნიადაგები. ამრიგად, რეგიონი ხასიათდება ნაირგვარი ლანდშაფტით, ჩვენში ვხვდებით სუბარქტიკული ტუნდრის ანალოგს ბორეალური სარტყელით (ალპების ზედა ზოლი) და ტენიან სუბტროპიკების ტყე-მდელოს და შშრალი სუბტროპიკების სტეპს ნახევრად უდაბნოს სახით. ჭეშმარიტად, საქართველო ბუნებრივ ფაქტორთა მრავალმხრივ დიდ მუზეუმს მოგვაგონებს, რომელშიც მსოფლიოს ამ ფაქტორ-კომპონენტთა ბევრი წარმომადგენელი მონაწილეობს.

საბჭოთა კავშირის მასშტაბით საქართველო გამორჩეულია მთელი რიგი კულტურების განვითარების მხრივ. ეს იმიტომ, რომ ამ კულტურათა წარმოების მიხედვით ერთადერთი (თუ არა ძირითადი) მაინც ჩვენი რესპუბლიკაა. ჩაის, ლიმონს, ფორთოხალს, მანდარინს რომ თავი დავანებთოთ, ყურძნის მხრივ მას ერთერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს.

აგროეკონომთა მრავალგვარობა, რა თქმა უნდა, რეგიონის შესაფერისი ბუნებრივი პირობების შედეგია. უნიკალური ხასიათის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას რესპუბლიკაში სურენეთამაკორონიოსული ნაირფერადოვნებაც აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შესახებ ჩვენ სავარაუდო ცნობების მეტი არაფერი არ გაგვაჩნია.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: უნიკალური ექსტრა-კლასის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება ყოველთვის არ არის მწარმოებელ მეურნეობაზე დამოკიდებული. მთელ რიგ შემთხვევაში პროდუქციის მაღალხარისხიანობა ბუნების მადლია, რომლის საიდუმლოებას ადამიანი ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდომია და ამიტომ პრაქტიკული გამოყენება მისი ფართობის გადიდების მხრივ მას არც შეუძლია.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ჩვენში არავის უცდია, ამ ბუნებით ბოძებული სიმდიდრის საიდუმლოების მიზეზების ყოველმხრივ ამოხსნა.

ახლა, როცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა, საჭიროდ მიგვაჩნია შევეძუშაოთ და განვახორციელოთ ხარისხოვანი პროდუქციის მიღების მეცნიერულად დადგენილი და პრაქტიკულად შემოწმებული ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პირობების შესაფერისი ღონისძიებანი.

ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი საკითხია შეუსწავლელი და გადასაწყვეტი. ამ უკანასკნელთა ჯგუფს ეკუთვნის გამორჩეულად მაღალი ხარისხის (უნიკალური) პროდუქციის მიღების მიზეზების შესწავლა ულტრამიკროორგანიზულ ჩარჩოში. არავინ იცის, მაგალითად, თუ რატომ არის ჰოპორტის პამიდორი განსაკუთრებულად გემრიელი, ან რატომ არის, რომ ყვარლის ხახვი საუცხოოა? რაზეა დამოკიდებული ტყიბულის ჩაის შესანიშნავი სურნელება და ფერი? ასევე გაურკვეველია, თუ რა საზღვრავს „ქინძმარაულის“, „ახაშენის“, „ხვანჭკარის“, „უსახელაურის“ და სხვა მრავალი უნიკალური ღვინო-მასალის განსაკუთრებულ ხავერდს, სინაზეს, სურნელებას და სხვა ხასიათოკურ საგემოვნო თვისებებს. არ არის ცნობილი, თუ რატომ აგროვებს უფრო მეტ შაქარს საფერავი კაჟეს ერთგან (მაგალითად, ქინძმარაულის ტერიტორიაზე), ვიდრე მეორეგან (მაგალითად, ბურსის ტერასებზე) და სხვა. ან რა ბუნებრივ-ეკოლოგიური ფაქტორები (ან ფაქტორი) განსაზღვრავენ „მანავის მწვანის“ თვისებებს და ა. შ. რაზეა დამოკიდებული ეს ბუნებრივი მადლი — ნიადაგზე, მიკროკლიმატზე, დედაქანების ლითოლოგიურ მხარეზე თუ სხვა რამ მიზეზებზე? საკითხს, უდავოდ, როგორც დიდი მეცნიერული, აგრეთვე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ექსტრა-კლასის ყურძნის მომცემი მიკროუბნის ფართობი 10-20, იშვიათად 100 ჰექტარით იფარგლება, ე. ი. ტერიტორიულად მკაცრად ლოკალიზებულია. მის ასეთ ვიწრო ტერიტორიულ ჩარჩოებს ქართველი კაცი — მეურნე და მეცნიერიც ოდითგანვე შეგუებული იყვნენ და მოსავლის დაგეგმვის დროს ძალიანაც რომ სდომოდათ, ამ „პროკრუსტეს სარეცელის“ საზღვრებს ვერ სცილდებოდნა.

სკკპ XXVII ყრილობამ, რომელმაც ჩვენი ქვეყნის აგრარული პოლიტიკის ძირითად ამოცანად სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხი დაყენა, ყურადღება გაამახვილა აგრეთვე პროდუქციის ხარისხზე. ნიადაგურ-ლანდშაფტური, ეკოლოგიური პირობების შესაფერისი მელიორაციული (და აგრონომიული) ღონისძიებების განხორციელება აუმჯობესებს მცენარის სასიცოცხლო პირობებს— იწვევს საკვები ნივთიერებების, წყლის, ჰაერის და სითბოს რეჟიმის ოპტიმალიზაციას და ამით ამაღლებს მცენარის ბიოპროდუქტიულობას (ხარისხის გაუმჯობესების თანჰათვლით). აღსანიშნავია, რომ ე. წ. არაპირდაპირ მოქმედი მელიორაციული ღონისძიებები ძირითადად პროდუქციის ხარისხზე მოქმედებს. ამ მიზნით უცხოეთის მევენახეობაში (საფრანგეთი და სხვაგან) მიმართავენ ნიადაგის სილიკატირებას კაჟის შეტანით, რომელიც ვენახის პროდუქციის ხარისხიანობას აუმჯობესებს; ასეთი მელიორანტები და მელორაციული ღონისძიებები ჩვენში ნაკლებად არის შესწავლილი და ამის გამო ნაკლებად გამოცდილ-გამოყენებული.

„ქინძმარაულის“ საფერავის ჯიშის ვენახი გაშენებულია მდინარე დურუჯის სელური ღვარცის გამონატანი კოხუნების ალუვიურ თიხნარ უკარბონატო ნიადაგებზე. ამის საფუძველზე შემუშავებულმა ჰიპოტეტურმა მოსაზრებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ გვეთქვა „ქინძმარაულის“ ვენახის პროდუქციის მაღალი ხარისხის მსაზღვრელს დურუჯის გამონატანი უნდა წარმოადგენდეს (ალბათ სპეციფიკური თბური თვისებების გამო). ლოგიკურად საჭირო გახდა საკითხის ცდის საშუალებით შემოწმება. ცდა დავაყენეთ 1982 წლის ნოემბერში ყვარლის მევენახეობის მეურნეობის ორდინალური საფერავის ვენახში. მელიორანტად გამოვიყენეთ მდინარე დურუჯის კალაპოტის გამონატანი (ჰექტარზე 150 ტონის რაოდენობით). მწიფობის პერიოდში ვენახში მიწისპირა (1,40 მეტრის სიმაღლეზე) ჰაერის თერმული მაჩვენებლებს დავაკვირდით დღეღამურ მაქსიმუმს და მინიმუმ ტემპერატურებზე რა ცვლილებები მოხდებოდა. ანათვლებმა გვიჩვენა, რომ მელიორანტშეტანილ და ორდინარულ საღვინე ვენახის ნაკვეთებზე „ქინძმარაულის“ მაქსიმალური ტემპერატურები ერთი მეორეს უახლოვდება. მინიმუმ ტემპერატურის შესამჩნევი განსხვავებაა. ის 4-5 გრადუსით მაღალი აღმოჩნდა „ორდინარულ საღვინე“ ვენახის ნაკვეთზე. „ქინძმარაულის“ და „მელიორანტშეტანილი“ ნაკვეთების ეს თერმული მახასიათებელი ერთმეორეს უახლოვდება აგვისტო-სექტემბრის ბოლო პერიოდამდე.

გამოკვლევების მონაცემები იძლევა საფუძველს ვთქვათ, რომ „ქინძმარაულის“ საფერავის ვენახში ექსტრა-კლასის პროდუქციის ხარისხის მსაზღვრელს ნიადაგური პირობები, კერძოდ, მდინარე დურუჯის გამონატანი წარმოადგენს, რომელიც აწესრიგებს მიწისპირა ჰაერის სითბურ თვისებებს და ამით ყურძენში შაქრის უტილიზაციის ხელშემწყობ პირობას ქმნის.

ზემოთქმულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ექსპერიმენტით მოპოვებული მონგნება იძლევა ცდის შედეგების ინტერპოლაციის შესაძლებლობას — „ქინძმარაულის“ უნიკალური საფერავის ვენახის ფართობის გადიდებისას, ორდინარულ საფერავის საღვინე ვენახში მელიორანტად — მდინარე დურუჯის გამონატანის არაპირდაპირი მოქმედების „სასუქად“ გამოყენების საშუალებით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სხვა მიკროუბნების ექსტრა-კლასის ღვინომასალის მსაზღვრელი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ერთი და იგივე ფაქტორი (მიზეზი) წარმოადგენდეს. თითოეული ასეთი მიკროუბნის პროდუქციის ხარისხიანობას თავისი ეკოლოგიური კომპლექსი საზღვრავს (ნიადაგების ჩათვლით), რომელიც საკითხის გადასაწყვეტად ღრმა მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს. ამიტომ ჩვენ ბართებულად და დროულად მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღოს, როგორც შესაფერისი პროფილის სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტებმა, აგრეთვე ფუნდამენტური მეცნიერ ებ ის (ბიოფიზიკის, ქიმიის, მინერალოგიის და სხვა) ინსტიტუტებმა და უმაღლესი სასწავლებლების შესაფერისი პროფილის კათედრებმა.

გ. ტალახაძე,
პროფესორი;
ი. ანჯაფარიძე,
პროფესორი.

„საქართველოს კომუნისტი“ № 5

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მეხუთე ნომერი.

ნომერი იხსნება მოწონავე სტატიით — ბოლშევიზმის სულისკვეთებით.

ანშლაგით „სკკპ XXVII ყრილობა და თეორიის საკითხები“ დაბეჭდილია ვ. კ ე ლ ე ს და ვ. კ ო ვ ა ლ ზ ო ნ ის წერილი — ისტორიული მატერიალიზმი და რეალური სოციალიზმის პრაქტიკა.

რუბრიკით „დაჩქარების სტრატეგია“ გამოქვეყნებულია: მ. გოგუაძის — ახალგაზრდობის სოციალური აქტივობა; ლ. ტაკუმაევას — სტრუქტურული ცვლილებები აგროსამრეწველო კომპლექსში.

განყოფილებაში „პარტიული ცხოვრება: გარდაქმნების კურსით“ თქვენ გაეცნობით დ. გაბუნიას — საპრესტიჟო ამოცანა; გ. ქაშაკაშვილის — ჩვენი შრომითი ენთუზიაზმი; ჯ. ჩარკვიანის — დიდ საქმოში.

რუბრიკით „მეცნიერის ჰორიზონტები“ დაბეჭდილია გ. მელიქიშვილის სტატია— ივანე ჯავახიშვილი და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია.

ანშლაგით „პოლიტიკური თვითგანათლება“ გამოქვეყნებულია: ნ. კიკვაძის — სკკპ XXVII ყრილობა თანამედროვე მსოფლიოს ძირითადი ტენდენციებისა და წინააღმდეგობათა შესახებ; ვ. შარიქაძის — ადამიანის ფაქტორი და სამეურნეო მექანიზმი.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული საგანძურიდან“; „ჩვენი კალენდარი“; „ლიტერატურა და ხელოვნება“; „იმ გმირულ დღეთა მოსაგონარი“; „საიუბილეო თარიღები“; „რევოლუციური ბრძოლების ჰეროიკა“.

სპეციალისტის შრომითი პოტენციალი

ინჟინრის პროფესია საპრესტიჟოა

საბჭოთა ადამიანის უშრეტი შემოქმედებითი შესაძლებლობანი მთელი ჩვენი საზოგადოების განვითარებით დასტურდება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე, ხოლო შემდეგ სკკპ XXVII ყრილობაზე, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ადამიანის ფაქტორი თანამედროვე პირობებში წარმოადგენს იმ ძალას, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეკონომიკური ზრდის სხვა ფაქტორების დაჩქარებაში. საჭიროა, რომ ყოველმხრივ გავაქტიურთოთ იგი, მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი მშრომელი თავის ადგილზე მუშაობდეს კეთილსინდისიერად, ძალების სრული უკუგებით. ამ სტატიაში ლაპარაკი იქნება ინჟინრის შესაძლებლობებზე, მის შრომითს პოტენციალზე.

ინჟინრის ფსიქოლოგია, რომელიც ჩვენი ეკონომიკის განვითარების ადრინდელ ეტაპზე ყალიბდებოდა, საკმაოდ მყარი აღმოჩნდა. მისი ადაპტაცია ხდებოდა იმ დროს, როდესაც ეკონომიკური პრობლემები წყდებოდა სამეურნეო ბრუნვაში დამატებითი რესურსების მოზიდვით, დამოუკიდებლობისა და შემოქმედების მაქსიმალური შეზღუდვის პირობებში. ამ წლების ისტორიული რეალობა იყო ინდუსტრიალიზაცია, დაჯგმვისა და მართვის ზედმიწევნით ცენტრალიზაცია, სტანდარტული სამეურნეო გადაწყვეტილებები და სხვა, რაც ბოჭავდა ინჟინრის ინიციატივას, ანალიზურ აზროვნებას ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად. მნიშვნელოვნად შენელდა დამოკიდებულება ფონდების გამოყენების ხარისხის გაუმჯობესებისადმი, რის შედეგადაც საწარმოებში თვალსაჩინოდ მცირდება ექსტენსიური ფაქტორების გამოყენების ხარისხობრივი მაჩვენებლები და ა. შ.

მართალია, უკვე კარგა ხანია, რაც ჩვენი ეკონომიკა სწრაფი ტემპით გადადის ინტენსიფიკაციის კურსზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს დრო არ აღმოჩნდა საკმარისი ინჟინრის ფსიქოლოგიის გარდაქმნისათვის. თუ დღეს მუშის შრომითს პოტენციალს 75-80 პროცენტით მინდვ ვიუნებთ, ინჟინრის შესაძლებლობის გამოყენების დონე 20 პროცენტსაც არ აღემატება.

მუშაკის შრომითი პოტენციალი მუდამ იცვლება და მისი სიდიდე შრომის ეფექტიანობის ხარისხის უმნიშვნელოვანესი სოციალური ფაქტორია. თუმცა მუშაკის დიდი შრომითი პოტენციალიც არ იძლევა დიდეფექტიანი შრომის გარანტიას. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვიყენებთ მას წარმოებაში. რაც უფრო დიდია ადამიანის ცოდნა, რაც უფრო მაღალია გადიდებული, უნარისა და მიდრეკილების გამოყენების დონე, მით უფრო დიდია მისი შრომითი პოტენციალის საწარმოო უკუგება. მუშაკის პოტენციალის მთლიანი რეალიზაციისათვის საჭიროა შესაბამისი პირობები, სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც არსებითს გავლენას ახდენს შრომის ეფექტიანობაზე.

გაზეთ „იზვესტიის“ გასული წლის 14 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ერთი კრასნოდარელი დიპლომიანებული ინჟინრის საინტერესო წერილი. იგი აღნიშნავს: „საშინელ გრძნობას განვიცდი ყოველ საღამოს, როცა ჩემი ბინის კარებს ვაღებ. სიხარულით მეგებება მეუღლე და შვილი, მაგრამ მათ არ იციან, რომ მამა მთელ დღეს ლაყბობდა, თამბაქოს ეწოდა, ყავას სვამდა, ერთი უჯრიდან მე

ინფორმაციები
ფაქტები • მოვლენები

უზრუნველყოთ მშვიდობა და კაცობრიობის მომავალი

ლრმად სიმბოლურია, რომ თბილისის სადღესასწაულო საბჭოს სარიტუალო დარბაზი, სადაც ჩვეულებრივად აღნიშნავენ ადამიანის ცხოვრების ბედნიერ მოვლენებს, გახდა განიარაღების მსოფლიო კამპანიის ფარგლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალური კონფერენციის მოწყობის ადგილიც. აქ შეკრებილთა სხვადასხვა იდეოლოგია, სხვადასხვა პოზიცია ხელს არ უშლის მათ გამოძებნონ და ჩამოაყალიბონ ისეთი თვალსაზრისი, რომელიც მათ ინტერესებს უპასუხებდა ან მეტ-ნაკლებ ალბათობით ეეგვა. ამ წარმომადგენლობითი ფორუმის პირველი პლენარული სხდომის დღეს მონაწილეთა გამოსვლები მიეძღვნა ქვეყნის მშვიდობის უზრუნველყოფისათვის საერთაშორისო გაერთიანებების მეცადინეობას. მშვიდობა ... მხოლოდ მშვიდობა — აი, ... აზანდელი და მომავალი თაობების ბედნიერებისა, ხაზგასმით აღნიშნავდნენ ორატორები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილემ, უშიშროების საბჭოს პოლიტიკურ საკითხთა და საქმეთა დეპარტამენტის მეთაურმა ... ა. უსტინოვმა, რომელმაც სხდომა გახსნა, საგანგებოდ აღნიშნა, რომ ბირთვული კატასტროფა იმუქრება ჩვენი პლანეტის ცივილიზებული ადამიანის სიცოცხლეს. გარდა ამისა, ხალხებს ... უფრო მძიმე ტვირთად აწევს გამალებული შეიარაღება, რომელიც ნთქავს მნიშვნელოვან ფინანსურ და შრომითს რესურსებს, იწვევს უმუშევრობას. მაგალითად, შეიარაღებისათვის გაწეული ერთი მილიარდი დოლარი სამუშაოს აძლევს ოცდაათ ათას ადამიანს, იგივე თანხა სამმხმარებლო საქონლის წარმოების სფეროში უზრუნველყოფს სამოცი ათასამდე კაცის დასაქმებას. ამრიგად, გამალებული შეიარაღების პრობლემას აქვს არა მარტო სამხედრო, არამედ სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ასპექტებიც.

გააცნოს ისინი თითოეულს— ... ასეთ კეთილშობილურ ამოცანას ... ავს განიარაღების მსოფლიო კამპანია. მისი მთავარი მიზანია: ... მოუწოდოს ფართო საზოგადოებრიობას, მონაწილეობა მიიღოს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანების განმარტებაში, ომისა და მშვიდობის აქტუალური პრობლემების განხილვაში.

იმ რელიგიური ორგანიზაციების მნიშვნელოვანი როლის შესახებ, რომლებსაც მრავალმხრივი გავლენა აქვთ საზოგადოებაში და ამით ხელს უწყობენ განიარაღების საკითხებზე ინფორმაციისა და იდეების გავრცელებას, ლაპარაკა ეკლესიების მსოფლიო საბჭოს ეკლესიების საერთაშორისო საკითხთა კომისიის მდივანმა ნინან კოშმ.

კონფერენციის მონაწილის, სსრ კავშირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის ვლადისლავ ნატორფის მოხსენებაში გამოთქმული იყო აზრი, რომ დაუშვებელია საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში სოციალისტურ და კაპიტალისტურ წყობილებას შორის იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა გაგრძელება. უნდა გამოვძებნოთ ინტერესების დამთხვევის წერტილები თანამედროვეობის ისეთ გლობალურ საკითხებზე, როგორიც არის ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება, მსოფლიოში არსებული „ცხელი წერტილების“ ლიკვიდაცია.

ამერიკის შეერთებული შტატების ნეოგლობალიზმის დოქტრინა, რომელიც ქმნის დაძაბულობას

აღიკვეთოს ბირთვული საფრთხე

ჩვენი ბირთვული საუკუნე დაფინებით მოითხოვს ახალ მიდგომას საერთაშორისო ურთიერთობისადმი, სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მეცადინეობის გაერთიანებას ბირთვული საფრთხის აღმოფხვრისა და მსოფლიო პოლიტიკური კლიმატის რადიკალური გაუმჯობესებისათვის, აღნიშნულია საზღვარგარეთის გამოსმაურებებში მე. ს. გორბაჩოვის ტელევიზიით გამოსვლაზე.

დიდი ბრიტანეთი. ამერიკის შეერთებული შტატების უარყოფიმა პასუხმა საბჭოთა ინიციატივებზე არ შეიძლება არ შეაშფოთოს ინგლისელი ხალხი, რომელიც კონსერვატორთა მთავრობისაგან მოითხოვს პოზიტიურ მოქმედებას და საბჭოთა წინადადებების მიღებას ნაცვლად იმისა, რომ მორჩილად ასრულებდეს ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილებებს, ნათქვამია **ბრიტანეთის მშვიდობის ასამბლეის** განცხადებაში. საბჭოთა კავშირის წინადადებები ატომური ავარიებისა და რადიაქტიურობის გაჟონვის საშიშროების შემცირების მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული, მეტადრე მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში რადიოაქტიურობის გაჟონვის მიჩქმალული შემთხვევები. ჩერნობილის ავარიის შემდეგ ყველასათვის ცხადი უნდა გახდეს, თუ რა საფრთხეს გვიქადის ბირთვული ომი.

ავსტრია. ჩვენ მივესალმებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიერ საბჭოთა ტელევიზიით გამოსვლისას ჩამოყალიბებულ ახალ საბჭოთა ინიციატივებს და მთავრობას მოვუწოდებთ მხარი დაუჭიროს ამ ინიციატივებს, ნათქვამია **ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს** განცხადებაში. განცხადება გულისწყრომით გმობს დასავლეთში გაჩაღებულ პროპაგანდისტულ კამპანიას, რომლის მიზანია ისარგებლოს ადამიანის გასაგები შეშფოთებით ჩერნობილის ავარიის შედეგების გამო და მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს გაცილებით დიდ საშიშროებას, რომელსაც გამალებული ბირთვული შეიარაღება შეიცავს.

ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ავსტრიის მთავრობას მოუწოდებს, რომ იხელმძღვანელოს მუდმივი ნეიტრალიტეტის პოლიტიკით და მხარი დაუჭიროს სსრ კავშირის წინადადებებს, რომელთა მიზანია ბირთვული შეიარაღების შემცირება და ყოველგვარი ბირთვული აფეთქებების აკრძალვა.

მექსიკა. ბირთვული იარაღი მთლიანად უნდა აიკრძალოს, მისი არსებნალები კი — მოისპოს. ჩვენ კვლავაც ვიღაწვრთ იმისათვის, რომ გააქტიურდეს დიდ სახელმწიფოთა დიალოგი, რათა გადაწყდეს ეს პრობლემა, რომელიც მთელ კაცობრიობას აღელვებს, განაცხადა მექსიკის პრეზიდენტმა **მიგელ დე ლა მადრიდმა.** მსოფლიო წესრიგისათვის მებრძოლ პარლამენტართა საერთაშორისო ორგანიზაციის დელეგაციის მიღებისას, რომელსაც მისი თავმჯდომარე ო. გრიმსონი მეთაურობდა, მექსიკის პრეზიდენტმა დაადასტურა არგენტინის, ინდოეთის, ტანზანიის, შვეიცარიისა და საბერძნეთის ლიდერებისათვის გაგზავნილი ოფიციალური წინადადება, რომ 6 აგვისტოს მეხიკოში მოაწყონ შეხვედრა, რათა დასახონ ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლის ახალი ფორმები.

ინდოეთი. შეაფასა რა სსრ კავშირის წინადადება, გაახანგრძლივოს თავისი ცალმხრივი მორატორიუმი, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის წინადადება, რომ შეხვდეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანს ბირთვული გამოცდების აკრძალვაზე მოლაპარაკების მიზნით, ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მ. კუსუმაატმაჯამ** განაცხადა: „ინდონეზია მხარს უჭერს ქვეყნად მტკიცე მშვიდობის მისაღწევად გამიზნულ ამ ინიციატივებს“.

რასისტთა მეკობრული აქცია

ჰარარე. რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები 19 მაისს დილით მეკობრულად თავს დაესხნენ ზიმბაბვეს, ზამბიისა და ბოტსვანის დედაქალაქებს — ჰარარეს, ლუსაკასა და გაბორონეს.

ჰარარეში დაინგრა სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის შენობა. რასისტულმა სამხედროსაჰაერო ძალებმა შეუტიეს ლუსაკის გარეუბანს მაკენის, სადაც განლაგებულია სამხრეთაფრიკელ ლტოლვილთა ბანაკი. თვითმხილველთა მოწმობით, გაბორონის გარეუბნებში გაისმოდა აფეთქებათა და ავტომატური ჯერის ხმა, ქალაქს თავს დასტრიალებდნენ სამხრეთაფრიკული ვერტმფრინავები, რომლებიც ბომბებს აყრიდნენ და ტყვიამფრქვევის ცეცხლს უშენდნენ საცხოვრებელ უბნებს.

● **ლონდონი.** სამხრეთაფრიკელ რასისტთა შეიარაღებული თავდასხმა ბოტსვანაზე, ზამბიასა და ზიმბაბვეზე დაგმო დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ნილ კინოკმა. აქ გავრცელებულ განცხადებაში მან აღნიშნა, რომ პრეტორიის მოქმედება „სახელმწიფო ტერორიზმის აქტია“. ლეიბორისტთა ხელმძღვანელმა მოუწოდა დაუყოვნებლივ მიიღონ ეკონომიკური და სხვა სანქციები პრეტორიის რეჟიმის მიმართ.

● **ლუსაკა.** ზამბია გულისწყრომით გმობს პრეტორიის რასისტთა აქციებს ლუსაკის, ჰარარისა და გაბორონის წინააღმდეგ, განაცხადა ლუსაკაში რესპუბლიკის პრეზიდენტმა კენეტ კაუნდამ, რომელიც გამოვიდა ზამბიაზე, ზიმბაბვეს და ბოტსვანაზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თავდასხმასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე.

პრეზიდენტმა სამარცხვინო ბოიკოტი გააკრა აპარტეიდის რეჟიმთან დაკავშირებულ ... რეიგანის ადმინისტრაციის „კონსტრუქტიკა“ „თანამშრომლობის“ პოლიტიკა, რომელიც საშუალებას აძლევს საბრძოლ აფრიკის რესპუბლიკას დაუსჯელად განაგრძოს „ფრონტისპირა“ სახელმწიფოებში ვითარების დესტაბილიზაციის კურსი.

პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ ზამბია განუხრელად უჭერს მხარს 'ეროვნულ-განმთავისუფლებელ მოძრაობებს. შურს ვიძიებთ სისხლისათვის, რომელიც ლუსაკაში, ჰარარესა და გაბორონში დაიღვარა, თქვა მან.

ოსლო. ნორვეგიის მთავრობა გულისწყრომით გმობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მხედრიონის აგრესიის ახალ აქტს მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ. ეს განაცხადა ქვეყნის ახალი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა კნუტ ფრიუდენლუნდმა ნორვეგიის სატელეგრაფო ბიუროსათვის მიცემულ ინტერვიუში.

ბოტსვანაზე, ზიმბაბვესა და ზამბიაზე სამხრეთაფრიკელ რასისტთა თავდასხმა, თქვა მან, ეწოწმობს, რომ პრეტორიის ხელისუფალნი აშკარად უგულებელყოფენ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს და არ აპირებენ უარი თქვან მასობრივი დისკრიმინაციის, შანტაჟისა და ძალმომრეობის პოლიტიკაზე. ნინოსტრმა მოითხოვა აპარტეიდის რეჟიმის წინააღმდეგ მიიღონ ქმედითი საერთაშორისო სანქციები.

უარი ოჯახის დამტკიცებაზე

ტოკიო. იაპონიის მმართველმა [illegible] „ოჯახი“ [illegible] ... გადაწყვიტა, უარი თქვას ამ იდეაზე პროფესორ [illegible] „ოჯახი“ [illegible] „ოჯახი“ [illegible] „ოჯახი“

გარიგება ურთიერთგაგებაზე...

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ

● თვითმალაზრდა, აი, რა არის მთავარი! ● ᲛᲐᲛᲘᲙᲝᲡ ᲜᲐᲧᲘᲓᲘ ᲛᲐᲜᲔᲥᲐᲜᲔᲑᲘ ● ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ ● ᲙᲕᲔᲚᲘᲗᲐᲓ ᲛᲝᲛᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ... ● ᲙᲣᲩᲐᲨᲘ „ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲜᲘᲚᲘ“ ᲮᲐᲚᲮᲘ ● ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ „ᲛᲐᲜᲘᲙᲣᲚᲘᲪᲘᲐᲡ!“ ● ᲕᲘᲜ ᲒᲐᲩᲔᲯᲐ ᲒᲐᲖᲝᲜᲘ? ● „ᲩᲔᲛᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐ ᲛᲘᲪᲐᲕᲡ ᲛᲔ...“

ᲙᲐᲠᲒᲐ ᲮᲐᲜᲘᲐ (ᲛᲐᲨᲘᲜ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲡᲘᲗᲝᲜᲘ ᲛᲝᲫᲘᲠᲐᲝᲑᲐᲡ!) ᲔᲠᲗᲘ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲐ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠ ᲒᲐᲒᲖᲒᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲢᲝᲜᲘᲡᲞᲔᲥᲘᲐ ᲙᲣᲩᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲠ ᲓᲒᲐᲡ, „ᲩᲰᲘᲡᲐᲤᲠᲔᲑᲔᲚᲝᲐ“, „ᲛᲘᲛᲔᲠᲘᲡ“, ᲒᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲒᲔᲕᲐ ᲬᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲒᲘᲬᲘᲠᲝᲗ.

ᲑᲔᲯᲠᲜᲔ ᲛᲘᲗᲐᲜᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲔᲡ ᲬᲘᲡᲗᲝᲛ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ „ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲝᲜᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲩᲘᲜᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲒᲘᲜ ᲓᲐᲒᲐᲕᲐᲜ. ᲛᲐᲒᲐᲚᲐᲗᲘ ᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲘᲡᲛᲘᲪᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲔᲗ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ, ᲔᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲣᲠᲗᲐᲪᲗᲔᲡᲛᲪᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲐᲒᲘᲜ ᲓᲐᲒᲐᲕᲐᲜ.

ᲓᲘᲓ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘᲐᲪ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲠᲒᲘᲡ ᲓᲐᲪᲘᲐᲜ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲒᲘᲜ ᲓᲐᲒᲐᲕᲐᲜ. ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝᲓ ᲛᲔᲦᲝᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲞᲐᲜᲐᲥᲘᲡ „ᲛᲐᲜᲘᲙᲣᲚᲘᲪᲘᲐᲡ!“ ● ᲕᲘᲜ ᲒᲐᲩᲔᲯᲐ ᲒᲐᲖᲝᲜᲘ? ● „ᲩᲔᲛᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐ ᲛᲘᲪᲐᲕᲡ ᲛᲔ...“

ᲛᲔᲠᲛᲔᲚᲘ ᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ — ᲛᲔᲦᲝᲠᲔᲚᲔᲑᲘ, ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲢᲝᲠᲘᲜᲘᲡᲞᲔᲥᲘᲐ — ᲨᲔᲒᲕᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲝᲓᲘᲗ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲜᲔᲑᲔᲚᲖᲔ. ᲠᲝᲛ ᲪᲐᲚ-ᲪᲐᲚᲙᲔ ᲣᲛᲪᲝᲠᲔᲜ ᲓᲐ ᲧᲣᲑᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲠᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲪᲐ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐ ᲖᲔᲠ ᲛᲝᲣᲪᲕᲚᲘᲡ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲛᲨᲚᲔᲚᲘ, ᲛᲐᲠᲢᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐ ᲖᲔᲠ ᲛᲝᲣᲪᲕᲚᲘᲡ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲛᲨᲚᲔᲚᲘ ᲛᲐᲚᲚᲝ ᲓᲝᲜᲔᲑᲖᲔ (ᲨᲔᲒᲕᲔᲜᲨᲜᲐᲕᲗ — ᲧᲝᲕᲚᲔᲚᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲝᲑᲘᲗ) ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲔᲚᲘ. ᲨᲔᲒᲕᲔᲜᲨᲜᲐᲕᲗ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ (ᲨᲔᲒᲕᲔᲜᲨᲜᲐᲕᲗ — ᲧᲝᲕᲚᲔᲚᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲝᲑᲘᲗ) ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲔᲚᲘ. ᲐᲛᲚᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲔᲚᲘ. ᲐᲛᲚᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ (ᲨᲔᲒᲕᲔᲜᲨᲜᲐᲕᲗ — ᲧᲝᲕᲚᲔᲚᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲝᲑᲘᲗ) ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ